

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი სოფიო მუჯირი არ ეთანხმება აღნიშნულ გადაწყვეტილებას და თვლის, რომ იგი უნდა გაუქმდეს. აპელანტის განცხადებით, სასაქონლო ნიშნის შემადგენელი ნაწილი „ITALIAN DESIGN“ მიუთითებს მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, რომ კომპანიის ნაწარმი დამზადებულია იტალიური დიზაინით. აპელანტის განმარტებით, კომპანიას აქვს წარმომადგენლობა იტალიაში და ხელშეკრულება აქვს დადებული იტალიურ დიზაინერულ ფირმასთან, რისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენილი იქნება დამატებით.

ამასთან, აპელანტი იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული არგუმენტაცია არ იქნება საკამრისი იმასათვის, რომ მიღებულ იქნეს დადებითი გადაწყვეტილება ნიშნის რეგისტრაციის შესახებ იგი თანახმაა შეზღუდოს საქონლის ჩამონათვალი მხოლოდ იტალიური დიზაინით დამზადებული ნაწარმით.

აპელანტი ითხოვს ზემოთაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებას და განცხადებული სასაქონლო ნიშნის „ANTONIO BIAGGI a b ITALIAN DESIGN“ განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ დარეგისტრირებას.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 9 ნოემბრის №2063/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ განცხადებული ნიშანი „ANTONIO BIAGGI a b ITALIAN DESIGN“ შესაძლებელია იყოს შეცდომაში შემყვანი საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ, რადგანაც განმცხადებელი კომპანია „ანტონიო ბიაჯი ლიმიტედ“ გახლავთ დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული კომპანია, ხოლო განცხადებული ნიშნის როგორც მთლიანი შთაბეჭდილება ისე ცალკე აღებული აღნიშვნები „ITALIAN DESIGN“ მიუთითებს აღნიშნული ნიშნით ნიშანდებული საქონლის იტალიურ წარმოშობაზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული საქონლის შეზღუდვის პირობებში არ იარსებებს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. კოლეგია თვლის, რომ მე-18 და 25-ე კლასების საქონლის მთლიან ჩამონათვალს უნდა დაემატოს „საქონელი წარმოებული

იტალიაში” („Goods produced in Italy”). საქონლის აღნიშნული სახით შეზღუდვის პირობებში კი არ იარსებებს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

ამასთან, კოლეგია აღნიშნავს, რომ სიტყვიერი აღნიშვნები „ITALIAN DESIGN” არ ექვემდებარება დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას და ისინი ნიშანში უნდა შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტით დადგენილი სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 9 ნოემბრის №2063/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ე ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ანტონიო ბიაჯი ლიმიტედ” („Antonio BIAGGI Limited”) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 9 ნოემბრის №2063/03 ბრძანება.
3. განცხადებულ კომბინირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ANTONIO BIAGGI a b ITALIAN DESIGN” (IR1097087) მიენიჭოს დაცვა განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ. სიტყვიერ აღნიშვნებს „ITALIAN DESIGN” არ მიენიჭოთ დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა და ისინი ნიშანში შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების

გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

კოლეგიის თავმჯდომარე:

ი. გიქორაშვილი

წევრები:

მ. ბაკურაძე

ქ. ურიდია